სემინარი: „ცხინვალის რეგიონი: ისტორია და პოლიტიკა“

2017 წლის 6 აპრილს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ე. წ. სამხრეთ ოსეთში 9 აპრილს დაგეგმილი პრეზიდენტის არჩევნებსა და რეფერენდუმთან დაკავშირებით, გაიმართა მრგვალი მაგიდა: „ცხინვალის რეგიონი: ისტორია და პოლიტიკა“ .

ღონისძიებას ესწრებოდნენ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინტიტუტის დირექტორი და მკვლევრები, ასევე საზოგადოების აქტიური წარმომადგენლები.

გამომსვლელებმა ისაუბრეს ქართველი და არაქართველი ისტორიკოსების, მათ შორის ოსი ისტორიკოსების მიერ წარმოდგენილი მთელი რიგი მასალების შესახებ, რომლებიც ადასტურებს, რომ ცხინვალის რეგიონი უძველესი დროიდან საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ისტორიულ ქართულ მიწაზე ოსთა ჩამოსახლების, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ავტონომიური ოლქის შექმნის და ზოგადად, საუკუნეთა მანძილზე ქართველების და ოსების მშვიდობიანი თანაცხოვების შესახებ, რომ კონფლიქტი ინსპირირებულია რუსეთის ხელისუფლების მიერ.

არაერთი გამომსვლელი შეეხო იმ წყაროებს, რომელთა მიხედვითაც შიდა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული ტოპონიმები ქართულ სამყაროს მიეკუთვნება და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“, რუსული პროექტია, ჯერ ცარიზმის და შემდეგ ბოლშევიკური.

გამომსვლელებმა საინტერესო სამოქმედო წინადადებები წარმოადგინეს, მათ შორის ისტორიული დოკუმენტების თარგმნა, რათა საერთაშორისო საზოგადოებ მიეცეს საშუალება ინტერნეტ სივრცეში გაეცნოს ამ მასალებს. ასევე, სასურველია აღნიშნული პრობლემის შესახებ ფართო კვლევითი საქმიანობის გააქტიურება და შედეგების უცხო ენებზე თარგმანა.

მრგვალი მაგიდის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს მიზანი ერთიანი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაა, სადაც ყველა მოქალაქე, ეროვნებისა და აღმსარებლობის

მიუხედავად, ჩართული იქნება ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის საჭირო გარანტიების შექმნაში.

სემინარის მონაწილეთა გამოსვლებიდან:

ოთარ ჯანელიძე (პროფესორი): საკითხი თავიდან ბოლომდე პოლიტიკურია და მას არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან, არც ისტორიასთან და არც გენეტიკასთან, მიუხედავად ზოგიერთი ოსი სეპარატისტის განცხადებისა, რომ ,,ოსები ალანების ჭეშმარიტი გენეტიკური შთამომავლები არიან", რომ ,,ოსები ალანების უმდიდრესი კულტურის, ენობრივი და გენეტიკური პლასტების პირდაპირ მატარებლებს წარმოადგენენ."

ცხინვალში არც მალავენ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი უნდა შეუერთდეს ჩრდილოეთ ოსეთს და ასე ინტეგრირდეს რუსეთის ფედერაციის ფარგლებში, რაც მათი დიდი ხნის ოცნებაა. მიიჩნევენ, რომ ალანიას სახელის ,,დაბრუნებით" რესპუბლიკა შეიქმნის მტკიცე კონსტიტუციურ საფუძველს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხის ოფიციალურად ინიცირებისათვის.

ჩვენ ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ: არავისა აქვს უფლება თვითნებურად შეცვალოს ტოპონიმიკა ისტორიულ ქართულ მიწაწყალზე ქართველი ხალხის დაუკითხავად. ამ საკითხის გადაწყვეტა თუნდაც რეფერენდუმიის გზით, რომელშიც მონაწილეობას ვერ იღებს რეგიონიდან იძულებით გამოდევნილი ქართველი მოსახლეობა, მოკლებულია ლეგიტიმურ საფუძველს და წარმოადგენს როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების, ისე საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას.

ალა ბიბილაშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი): ცხინვალის რეგიონში 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად, რადგანაც, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ნებისმიერი არჩევნები და რეფერენდუმი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე იქნება უკანონო და არ წარმოშობს რაიმე კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს.

არჩევნების და რეფერენდუმის ჩატარება განიხილება, როგორც ეთნიკური წმენდის შედეგების, სამხედრო ინტერვენციისა და საქართველოს რეგიონების ოკუპაციის ლეგიტიმაციის მცდელობა. რუსეთთან ახლახან მოწერილი შეთანხმება ცხინვალის რეგიონის სამხედრო დაჯგუფებების რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში გაერთიანებას ითვალისწინებს. რუსეთის ფედერაცია მიზანმიმართულად აფერხებს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების ძალისხმევას, მათ შორის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების ფარგლებში, და ხელს უშლის საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას.

ევროკავშირმა განაცხადა, რომ ის არ ცნობს საქართველოს ცხინვალის რეგიონისთვის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით 9 აპრილის ე.წ. რეფერენდუმისა და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას. ნატოს ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ალიანსი გმობს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ჩატარებულ არალეგიტიმურ არჩევნებსა და რეფერენდუმს. ნატო და მისი მოკავშირეები საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არ აღიარებენ და მხარს უჭერენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი თავის განცხადებაში ნეგატიურად აფასებს ცხინვალის არალეგიტიმურ არჩევნებს და რეფერენდუმს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე ტარდება. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის სუვერენიტეტს, საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

რუსეთი აგრძელებს პროიმპერიალისტურ, არაკონსტრუქციულ, აგრესიულ პოლიტიკას და ცდილობს მის მიერ მთლიანად კონტროლირებადი კვაზისახელმწიფოების შექმნის მცდელობით საკუთარი პოზიციების განმტკიცებას და თავისი ზეგავლენის სფეროს გაფართოებას.

ელდარ მამისთვალიშვილი (გორის უნივერსიტეტი, პროფესორი)**:** ბატონებო, როგორც ცნობილია, ე. წ. სამხრთ ოსეთის სეპარატისტულ მთავრობას განზრახული აქვს მიმდინარე წლის 9 აპრილს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩაატაროს რეფერენდუმი, რათა სახელი შეუცვალოს თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას და ეწოდოს მას „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანია“.

ეს არის წარმოუდგენელი ძალადობა ისტორიაზე. განათლებული კაცობრიობისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილია კავკასიის ხალხების წარსული, მათი განსახლების არეალი, ვინ ვისი მეზოელი იყო და როგორი იყო მათ შორის ურთიერთობა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. თუ ობიექტურნი ვიქნებით, სრულიად გაუგებარია რა კავშირი ჰქონდა მომთაბარე ალანებს იმ ძირძველ ქართულ მიწებთან, რომლისთვისაც ალანიის დარქმევას ფიქრობს სეპარატისტული ცხინვალის მთავრობა.

საგანგაშოა იმ „ისტორიული გამოკვლევების“ რაოდენობა რომელსაც ოსი ვაი ისტორიკოსები ქმნიან რუსებთან ერთად ან მათი მხარდაჭერა-მფარველობით. გაოცებას იწვევს მათი “მეცნიერული” ნაყოფიერება. ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ის ტერიტორია, რომლის სახელის შეცვლასაც ფიქრობენ, თითქოს ოდითგანვე ალან-ოსებით იყო დასახლებული და ეხლა ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის იბრძვიან. ისინი არ დაკმაყოფილდნენ ქართული მოსახლეობის გამორეკვით, გენოციდით და ამის პარალელურად ახდენენ ქართული ისტორიული ძეგლების დამახინჯებას, ტოპონიმების შეცვლას. საქმე გვაქვს შიდა ქართლის უმნიშვნელოვანესი ისტორიული და კულტურული ნაწილის წარსულის საყოველთაო გაყალბებასთან.

სეპარატისტები ვერ შეძლებდნენ ჩანაფიქრის განხორციელებას თუ არ ექნებოდათ რუსეთის მთავრობის მხარდაჭერა, რომელსაც განზრახული აქვს შეაჩვიოს და აღიარებინოს საქართველოს მოსახლეობას და მის მთავრობას ის ისტორიული რეალობა, რომელიც

რუსეთის აგრესიული წრეებისა და მათი ოსი დამქაშების აზრით შეიქმნა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შედეგად.

მართალია, საქართველოს მთავრობა არ იშურებს ძალისხმევას ცივილიზებული კაცობრიობის მხრიდან რუსეთზე ზეწოლის გასაძლიერებლად. თუმცა, არა ვარ დარწმუნებული, რომ მას რაიმე ქმედითი შედეგი ექნება თუ გავითვალისწინებთ რუსეთის პოლიტიკას მისი მეზობლების მიმართ. კარგად გვახსოვს, რომ აგვისტოს ომის დროს და მის შემდეგაც ევროპის სახელმწიფოებმა და აშშ-მ მრავალჯერ დაამუნათეს რუსეთი და აღშფოთებაც გამოხატეს, მაგრამ თითქმის უშედეგოდ. იგივე სახელმწიფოები უფრო შორსაც წავიდნენ: სერიოზული ანტირუსული ღონისძიებები გაატარეს უკრაინაში რუსეთის აგრესიის გამო. რუსეთს დაუწესეს საკმაოდ სერიოზული ეკონომიური სანქციები, მაგრამ შედეგი ის იყო, რომ რუსეთი უფრო შორს წავიდა - დაიპყრო უკრაინის კუთვნილი ყირიმი და კვლავ ახდენს მასზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ და გავიმეოროთ მრავალჯერ ნათქვამი: კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი, რომელიც არ დასრულებულიყოს მოწინააღმდეგეებს შორის მოლაპარაკებით. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენი ზოგიერთი პოლიტიკოსის განზრახვაა ჩვენთვის სასარგებლოდ მოარჯულოს ვ. პუტინი და რუსეთის პოლიტიკური ელიტა, რაც სრულიად უპერსპექტივოა. ჩვენმა დიპლომატებმა უნდა მოახერხონ, რომ გადალახონ ფსიქოლოგიური ბარიერი და მიუსხდნენ რუსებთან მოლაპარაკების მაგიდას. მგონია, რაც დასაკარგი იყო დავკარგეთ. მოვსინჯოთ, იქნებ მოლაპარაკება, რომელიც რთული და ხანგრძლივი იქნება, პოზიტიური აღმოჩნდეს.

მანანა დარჩაშვილი (ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი): სამწუხაროა, რომ ისტორიულად ქართული ძირძველი მიწის სახელის შეცვლის გამო, ე. წ. სამხრეთ ოსეთში,

9 აპრილს რეფერენდუმი უნდა გაიმართოს, რადგან ეს თარიღი სიმბოლურია ქართული სინამდვილისთვის. იმ დროს, როდესაც ზუსტად 26 წლის წინათ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე (98.9%) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა.

ცინიზმითაა აღსავსე ეს მოცემულობა, რომ ტერიტორიაზე სადაც ახლა რეფერენდუმი ტარდება, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, რომელთაგან ზოგი მოკლეს და ზოგიც იძულებით გაადადგილებულ პირებად აქციეს, 26 წლის წინ რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის აღდგენას.

მამუკა ჯოლბორდი (გორის უნივერსიტეტი, პროფესორი): ვფიქრობ, ყველა დამეთანხმებით, რომ რუსეთთან იდეოლოგიური ომის დამოუკიდებლად წარმართვა, მთელი რიგი ფაქტორების გამო, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ძალზე რთულია. სამწუხაროდ, როგორც ისტორიული გამოცდილება ხშირად გვარწმუნებს, ,,ისტორიის სამართალი ურმით დადის“. ამიტომ მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა (როგორც იტყვიან, ერმა და ბერმა) ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ იმისთვის, რომ ჩვენი პარტნიორი და მოკავშირე ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები, აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ცნობილი სამეცნიერო ცენტრები თუ ცალკეული სპეციალისტები ჩვენი სიმართლის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ,,სამსახურში ჩააყენოს“, რათა მეტი დამაჯერებლობა და ექო შესძინოს ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ.